საერთაშორისო გადარიცხვები

1.1 საერთაშორისო გადარიცხვები წარმოადგენს ბანკთაშორის უნაღდო ანგარიშსწორების შემსრულებელ სისტემას. საერთაშორისო გადარიცხვების საშუალებით მოხდება საბანკო ანგარიშებს შორის სავალუტო გადარიცხვების შესრულება;
1.2 საერთაშორისო გადარიცხვები შესაძლებელია შესრულდეს მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ;
1.3 ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია საერთაშორისო გადარიცხვების შესრულება მოცემულია დანართში N 1;
1.4 თანხის გადარიცხვის დრო განსხვავებულია მიმღები ქვეყნის მიხედვით და განსაზღვრულია დანართში N 1;
1.5 საერთაშორისო სავალუტო გადარიცხვის შესრულება შესაძლებელია Mycredo ინტერნეტ/მობაილ ბანკის საშუალებით ან/და კრედო ბანკის სერვისცენტრებიდან;
1.6 საერთაშორისო გადარიცხვის შესრულება შეუძლიათ ყველა ტიპის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს (არამეწარმე ფიზიკური პირი, მეწარმე ფიზიკური პირი, გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე). მიუხედავად ფიზიკური პირის სამეწარმეო სტატუსისა, გადარიცხვის შესრულება დასაშვებია <u>მხოლოდ არასამეწარმეო მიზნებისთვის;</u>
1.7 საგადახდო დავალებას ავსებს მომხმარებელი, ინტერნეტ/მობაილ ბანკის სისტემაში. საგადახდო დავალების რეკვიზიტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს;

> 1.7.1 საერთაშორისო გადარიცხვით შესრულებული გადარიცხვის დანიშნულება არის შეზღუდული, ვინაიდან აღნიშნული სისტემით დაუშვებელია გადარიცხვის შესრულება სამეწარმეო მიზნებისთვის. დასაშვები დანიშნულების მნიშვნელობები სისტემაში წინასწარ არის გაწერილი და მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მათ შორის ერთ-ერთი.

1.8 საერთაშორისო გადარიცხვა შესაძლებელია აშშ დოლარსა და ევროში;
1.9 საერთაშორისო გადარიცხვისას მიმღები თანხას მიიღებს მიმღები ქვეყნისთვის დაშვებულ ვალუტაში. თუ თანხის გამგზავნის ვალუტა განსხვავებულია მიმღების ვალუტისგან თანხის კონვერტაცია მოხდება სისტემის მიერ მოცემული კურსით. აღნიშნული კურსი და მიმღების მიერ მისაღები თანხის ოდენობა გამოუჩნდება გამგზავნს, თანხის გადარიცხვის ინიცირებისას;
1.10 საერთაშორისო გადარიცხვის მეშვეობით კლიენტისათვის გადარიცხვის შესრულება ხელმისაწვდომია 24/7;
1.11 საერთაშორისო გადარიცხვით შესრულებული გადარიცხვისათვის განსაზღვრულია გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ლიმიტი დღის (1 კალენდარული დღე) და თვის ჭრილში, როგორც თანხის გამგზავნისთვის ასევე თანხის მიმღებისთვის:

> 1.11.1 დღის ლიმიტი შეადგენს - 10 000 აშშ დოლარს (ექვივალენტი გადასარიცხი თანხის ვალუტაში, მიმდინარე დღის ეროვნული ბანკის კურსით)
> 1.11.2 თვის ლიმიტი შეადგენს - 50 000 აშშ დოლარს (ექვივალენტი გადასარიცხი თანხის ვალუტაში, მიმდინარე დღის ეროვნული ბანკის კურსით)